



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

ფინანსური დებულება

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 23/10/2014 წ. გადაწყვეტილება - №6 (დანართი №2)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	იურიდიული სამსახური	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	
დაამტკიცა:	მმართველი საბჭო	

დოკუმენტის ნომერი: IBSU.R9G

შეუმოწმებული ვერსია

შემოწმებული ვერსია

განახლებულია:

თარიღი: 23/10/2014

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მართვის კომისიას წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

მუხლი 1. საგანი და მოქმედების ფარგლები.....4

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის ზოგადი წესი4

მუხლი 3. სახელმწიფო გრანტი.....4

მუხლი 4. სწავლის საფასურის გადახდა დამატებითი სასწავლო
კურს(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ის/დამატებითი სემესტრ(ებ)ისათვის.....4

მუხლი 5. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუს შეჩერებული სტუდენტებისათვის5

მუხლი 6. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუსშეწყვეტილი სტუდენტებისათვის6

მუხლი 7. ვალის არსებობის აღიარება.....6

მუხლი 8. დიპლომის დუბლიკატის გაცემის საფასური6

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები6

მუხლი 10. ძალაში შესვლა.....6

მუხლი 11. შესრულებაზე ზედამხედველობა7

მუხლი 1. საგანი და მოქმედების ფარგლები

- 1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - „შხსუ“) მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის წესსა და პროცედურას. დებულება არეგულირებს შხსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების ფინანსურ საკითხებს.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის ზოგადი წესი

- 2.1 სწავლის წლიური საფასურის გადახდა ორ ნაწილად ხდება. თითოეულ ნაწილის გადახდა სემესტრის დასაწყისში, აკადემიური კალენდით განსაზღვრული რეგისტრაციის პერიოდში ხორციელდება.
- 2.2 სტუდენტსა და შხსუ-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“), შესაბამისი განსაზღვრების არსებობის შემთხვევაში, სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს ორზე მეტ ნაწილად.
- 2.3 სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და წესით, შხსუ-ს საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

მუხლი 3. სახელმწიფო გრანტი

- 3.1 სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდები და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტი, ვალდებულები არიან გადაიხადონ მხოლოდ გრანტის თანხის გამოკლების შედეგად დარჩენილი სწავლის საფასური.

მუხლი 4. სწავლის საფასურის გადახდა დამატებითი სასწავლო კურს(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ის/დამატებითი სემესტრ(ებ)ისათვის

- 4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასური მოქმედებს ოთხი წლის განმავლობაში ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ორი წლის განმავლობაში მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის და სამი წლის განმავლობაში დოქტორანტურის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის.

მოქმედების ვადის ათვლა იწყება შესაბამის საფეხურზე ხელშეკრულების დადების თარიღიდან.

- 4.2 თუ სტუდენტი ვერ ასრულებს სწავლას პროგრამით დადგენილ ვადაში, დამატებითი სასწავლო კურსის/კომპონენტისათვის გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს შესაბამის პროგრამაზე პირველკურსელთათვის დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობას.
- 4.3 თუ სტუდენტი იღებს დამატებით სასწავლო კურსს/კომპონენტს სემესტრული 30 კრედიტის ფარგლებს გარეთ (ამასთან წლიური 75 კრედიტის ლიმიტში), სწავლის საფასური დამატებითი სასწავლო კურსის/კომპონენტისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 5. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუს შეჩერებული სტუდენტებისათვის

- 5.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაბამის სემესტრ(ებ)ში სწავლის საფასურის გადახდის შეჩერების საფუძველია.
- 5.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერება არ იწვევს ფინანსურ დავალიანებასთან დაკავშირებული სტუდენტის ვალდებულების შეჩერებას. სტუდენტის სტატუსის აღდგენა არ მოხდება ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვამდე (გარდა იმ შემთხვევასა, როცა არსებობს განსხვავებული შეთანხმება შპს-სა და სტუდენტს შორის).
- 5.3 თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერება (სტუდენტის ინიციატივით) მოხდა სემესტრის დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში, სტუდენტი თავისუფლდება მიმდინარე სემესტრის დარჩენილი პერიოდის სწავლის საფასურის გადახდისაგან.
- 5.4 თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერება (სტუდენტის ინიციატივით) მოხდა სემესტრის დაწყებიდან ორი თვის შემდგომ პერიოდში, სტუდენტი ვალდებულია სრულად დაფაროს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური (გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლებელია განისაზღვროს მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით).

მუხლი 6. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუსშეწყვეტილი სტუდენტებისათვის

- 6.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, შსს უფლებამოსილია სტუდენტისაგან მოითხოვოს გადაუხდელი სწავლის საფასურის დაფარვა.
- 6.2 სტუდენტის ინიციატივით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაფარვის საკითხი წესრიგდება დებულების 5.3 და 5.4 პუნქტებით განსაზღვრული წესის მიხედვით.

მუხლი 7. ვალის არსებობის აღიარება

- 7.1 შსს-ს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტუდენტთან შესაძლებელია გაფორმდეს შეთანხმება ვალის აღიარებისა და გადახდის გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.

მუხლი 8. დიპლომის დუბლიკატის გაცემის საფასური

- 8.1 სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე დიპლომის დუბლიკატის გაცემის საფასური არის 35 ლარი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

- 9.1 სტიპენდიებთან და ფინანსურ შეღავათებთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია - „სტიპენდიებისა და ფინანსური შეღავათების დებულებით“ - IBSU.R33G.
- 9.2 საკითხები, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დებულებით, რეგულირდება შსს-სა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.
- 9.3 დებულებაში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უნდა დამტკიცდეს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, ცვლილების ან დამატების სახით.

მუხლი 10. ძალაში შესვლა

- 10.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

მუხლი 11. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 11.1 წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება კანცლერის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსს-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შსს ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, თბილისი, 0131
საქართველოს რესპუბლიკა
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

